# შპს ევროპა პლუს თბილისი

ს/კ 204 426 264

## სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

## 2025 წლის 31 დეკემბრისათვის

1 სპეციალური ანგარიშგების აუდიტორული დასკვნა

2 საწარმოო ბალანსი

3 მოგება-ზარალის ანგარიშგება

4.ფულადი სახსრების ნაკადის მოძრაობა

5 ფირმის სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებები

**აუდიტორული ფირმა**
**შ.პ.ს. "მარი"**

**AUDITORY FIRM**
**"MARI" LTD**

№42

04/04/2026

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ევროპა პლუს თბილისი"-ს 2025 წლის წლიურ ფინანსურ შედეგებზე

შპს "ევროპა პლუს თბილისი"-ს ხელმძღვანელობას და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

მხარეთა შორის 2026 20 თებერვალს შპს „მარი"-სა და შპს "ევროპა პლუს თბილისი"-ს /ს/კ 204426264/ შორის №125/2026 გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა საწარმოოს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების: ბუღალტრული ბალანსის, მოგება-ზარალის,მფლობელთა კაპიტალისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი,წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე

/ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 14.11.2016 წლის ბრძანებით რეგისტრაცია SARAS-F-914029, ლიცენზია ფირმის აუდიტორულ საქმიანობაზე ზ#250, გაცემული 10 ოქტომბერი 2001წ. სერთიფიკატი ზ# ბ ა ფ/013, გაცემული 25 იანვარი 2012წ./

ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა

წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტების სისწორესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია საწარმოოს ხელმძღვანელობა. რაც განპირობებული უნდა იქნეს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებაზე, რაც უზრუნველყოფს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი მონაცემების წარდგენას.

"MARI" * GEORGIA * SOCIETY WITH LIMITED RESPONSIBILITY
236876795
მარი
MARI

აუდიტის მოვალეობა და პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ შესაბამისი დასკვნა. ასევე ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ ეთიკური ნორმები /დამოუკიდებლობა და კონფიდენციალურობა/.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტი შეეხო შპს "ევროპა პლუს თბილისი"-ს ეკონომიკური საქმიანობის ფინანსურ შედეგებს 2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს დასრულებულ წელს. შემოწმება დაიწყო 2026 წლის 20 თებერვალს და დამთავრდა 2026 წლის 31 მარტს.

აუდიტი წარიმართა აუდიტის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების, აგრეთვე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აუდიტი წარიმართა ისე, რომ დაცულია ეთიკის ნორმები და მიღებულია დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ შეიცავს თუ არა აუდიტორული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას. აუდიტი ითვალისწინებდა მტკიცებულებაზე დაყრდნობით, ჩატარებული ტესტირებითა და ხელმძღვანელობისაგან მიღებული ახსნა-განმარტებითა და წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკის ზოგად ასპექტებს რათა დაგვედგინა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან შეცდომებს, ანგარიშგებაში გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, რაც უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის და წარმოდგენილი ანგარიშგების ერთობლიობის უტყუარობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებულია წინამდებარე სპეცფონდების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი საწარმოოს შემუშავებულია სააღრიცხვო პოლიტიკა,რომელიც ინფორმაციულია,აგრეთვე შედგენისას დაცულია მე-4 კატეგორიის საწარმოთა კლასიფიკაციის კრიტერიუმები და აღრიცხვის მოთხოვნები,რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქმიანობის ლიცენზია:

= ქ. თბილისი-Fm 99,7-ლიცენზია B 54 მოქმედების ვადა 2024 წლის 02.07-მდე, დაფარვის ფაქტიური ზონა : მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან თბილისისა და გარე კახეთის ჩათვლით

= ქ. თელავი-Fm 102,3-ლიცენზია B 157 -მოქმედების ვადა 2024 წლის 27.02-მდე,დაფარვის ფაქტიური ზონა: კახეთის რაიონების ტერიტორია,სახელშეკრულებო პირობებით მაუწყებლობს-„რადიო მაესტროც"

= ქ. გორი-Fm 106.0- ლიცენზია B-159- მოქმედების ვადა 2024 წლის 27.02-მდე,დაფარვის ფაქტიური ზონა : გორი,ცხინვალი და მიმდებარე რაიონები,სახელშეკრულებო პირობებით მაუწყებლობს -„რადიო მაესტროც“

= ქ, ბათუმი-Fm 102.8- ლიცენზია B-163-მოქმედების ვადა 2024 წლის 26.06-მდე,დაფარვის ფაქტიური ზონა : აჭარა,დასავლეთ საქართველოს ნაწილში

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების წარმოდგენილი ანგარიშგებისა და ჩატარებული პროცედურების მტკიცებულებების საფუძველზე დარწმუნებით შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება და გავცეთ დასკვნა. ფინანსური ანგარიშგება და სრული პაკეტი იხილეთ დანართების /#1,2,3,4/ სახით:

1. საწარმოო ბალანსი
2. ფულადი სახსრების ნაკადის მოძრაობა
3. საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისი
4. მოგება-ზარალის უწყისი

ასეთი ინფორმაციის მიწოდება სასარგებლოა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად და კორპორაციული მართვის გასაუმჯობესებლად.

დ ა ს კ ვ ნ ა

შპს “ევროპა პლუს თბილისი”-ს ფინანსური ანგარიშგება ცალკეული უმნიშვნელო ტექნიკური პროგრამული ხარვეზების თანდართული შენიშვნების გარდა არ შეიცავს მნიშვნელოვან შეცდომებს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის (ბასს) სტანდარტული ფორმით. საზოგადოების საქმიანობას წარმოადგენს-რადიომაუწყებლობა. ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებულია საბურალტრო პროგრამა „ორისი“, მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით, არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. უტყუარად და რეგულარულად ასახავს ფინანსურ ანგარიშგებას დასრულებული 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოოს მიერ წარმოდგენილი და ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისია იმისთვის ,რათა შპს „ევროპა პლუს თბილისი”-ს 2025 წლის წლიურ სპეციაური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე გაიცას მოდიფიცირებული /პირობითი/ დასკვნა./ქონებრივი დაზუსტებები/

აუდიტორული ფირმა შპს „მარი“-ს დირექტორი: g.ჩოხელი

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ევროპა პლუს თბილისი“-ს

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება შემდეგ ძირითად საფუძვლებს;

საწარმოოს ფუნქციონირებადობას,აქტივების,ვალდებულებებისა და კაპიტალის აღიარების კრიტერიუმებს,წინდახედულობას, პერიოდებს შორის აქტივების გაუფასურებას, არსებითობის გარემოებებს,რათა სტანდარტმა განსაზღვროს უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისის დაშვება.

შპს „ევროპა პლუს თბილისი“

| | შენიშვნები | 31,12,2024 | 31,12,2025 |
|---|---|---|---|
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | | 50037 | 51977 |
| არამატერიალური აქტივები | | 11103 | 11103 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **61140** | **63080** |
| მიმდინარე აქტივები | | | |
| ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები | | 18899 | 5839 |
| მარაგები | | 6635 | 6635 |
| დებიტორული მოთხოვნები | | 6823 | 7565 |
| ავანსები | | | 7304 |
| გაცემული ავანსი,მოთხოვნები | | 19431 | 9171 |
| საეჭო ვალი | | | 10569 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **51788** | **47083** |
| **სულ აქტივები** | | **111656** | **110163** |

| | | | |
|---|---|---|---|
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | |
| მომწოდებლის ვალდებულება | | 2763 | 14231 |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები | | 17387 | 2668 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | | 8922 | 7804 |
| ვალდებულებები | | | 12372 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **29072** | **37075** |

| | | |
|---|---|---|
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| მიღებული გრძელვადიანი სესხები | 8384 | 8383 |
| **სულ ვალდებულებები** | **8384** | **45458** |
| კაპიტალი | | |
| 477705 | | |
| სარეზერვო კაპიტალი | | |
| გაუნაწილებელი მოგება | 70485 | 60988 |
| **საწესდებო კაპიტალი** | **3715** | **3715** |
| სულ კაპიტალი | 74200 | 64705 |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | **111903** | **110163** |

ხელმძღვანელი

დირექტორი მთავარი ბუღალტერი

*მოგება-ზარალის უწყისი*

*შპს ევროპა პლუს თბილისი* *2024 წ.* *2025 წ.*

| | საანგარიშგებო პერიოდი | გასული წელი |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 55866 | 44301 |
| საქონლის გაყიდვიდან | | |
| მომსახურების გაწევიდან | 55866 | 44301 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | | |
| სხვა | 00 | |
| გაყიდვების თვითღირებულება | | |
| **საერთო მოგება** | 55866 | 44301 |
| | | |
| ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი | -28089 | -28361 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -3509 | -2400 |
| გაუფასურების ხარჯი: | | |
| ფინანსური აქტივები | | |
| მარაგები | | |
| სხვა არაფინანსური აქტივები | | |
| საპროცენტო შემოსავალი | | |
| საპროცენტო ხარჯი | | |
| დივიდენდად გაცემული არაფულადი აქტივის საბაზრო ღირებულების კორექტირება | | |
| ცვლილება ბიოლოგიური აქტივის გასაყიდ | | |

| | | |
|---|---|---|
| ფასში | | |
| სხვა ხარჯები | -10636 | -23548 |
| მოგება / ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე | 13632 | -9497 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | 13632 | -9497 |
| შედეგი | | |
| საწყისი გაუნაწილებელი მოგება | 56853 | 70485 |
| გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი) | | |
| გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა | 00 | |
| გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა | | |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | | |
| გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი | 70485 | 60988 |

ფულადისახსრებისმოძრაობისგაანგარიშება

სრულ ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოო ხარჯები აღიარებულია ,ისე რომ განსაზღვრულია

მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება,რაც შესაძლებელია საიმედოდ განისაზღვროს

აქტივის შემცირებითა და ვალდებულების ზრდით,ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

აღიარებულია გაწევისთანავე. პროგრამული ხარვეზის მიუხედავად შედეგი გასწორებულია და ასახულია ისე.

შპს „ევროპა პლუს თბილისი“

| ფულადი სახსრების მოძრაობა | | |
|---|---|---|
| | | |
| **ფულადი სახსრების მოძრაობა** | **31/12/2025** | **31.12.2024** |
| **საოპერაციო საქმიანობა** | | |
| მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები | 48018 | 58202 |
| მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები | -51820 | -51574 |
| სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | | |
| საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები | | |
| გადახდილი გადასახადები | -7323 | -5200 |

| | | |
|---|---|---|
| ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | -11125 | 1428 |
| **საინვესტიციო საქმიანობა** | | |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის | -1940 | -3510 |
| ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის | | |
| სესხის (გაცემა) და შემდგომი დაბრუნება | | |
| ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან | | |
| ფულადი სახსრების შემოსვლა ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან | | |
| მიღებული პროცენტი | | |
| მიღებული დივიდენდები | | |
| სხვა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები | -1940 | -3510 |
| **საფინანსო საქმიანობა** | | |
| ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებიდან | | |
| ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან | | |
| საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა | | |
| სესხის ძირის გადახდა | | |
| სესხის პროცენტის გადახდა | | |
| დივიდენდების გადახდა | | |
| სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან | | |
| ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან | | |
| ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში | -13065 | -2082 |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის | 18899 | 7917 |
| სავალუტო კურსის ეფექტი | | |
| ფულადი სახსრები წლის ბოლოს | 5834 | 5835 |
| | | |

ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების ფორმის მიზანია,ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს საანგარიშო

პერიოდისათვის კომპანიის ფულადისახსრების შემოსვლისა და გასვლის შესახებ.იგიასახავს ფულის მასისმოძრაობას,პერიოდებში ნაშთის ცვლილებას. აღნიშნული ინფორმაციით ფასდება საწარმოოს გადამხდელუნარიანობა, და ფულადი ნაკადის ცვლილების გამომწვევი მიზეზი.

კომანიის საწესდებო კაპიტალი ფორმირებულია წესდებითა და შემდგომი რეინვესტირებით,

მასში ცვლილების განხოციელება დაფუძნებელთა გადაწყვეტიოლებით ხორციელდება.

კაპიტალი მოიცავს როგორცდამფუძნებელთა შენატანებს ისე საქმიანობითკაპიტალში მიმართულ რეალურ ღირებულებას

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

სრულ ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოო ხარჯები აღიარებულია ,ისე რომ განსაზღვრულია

მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება,რაც შესაძლებელია საიმედოდ განისაზღვროს

აქტივის შემცირებითა და ვალდებულების ზრდით,ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულია გაწევისთანავე. პროგრამული ხარვეზის მიუხედავად შედეგი გასწორებულია და ასახულია ისე.

საწარმოოს ფინანსური ანგარიშგება /მეოთხე კატეგორია/ მომზადებულია:

1. აღიარებულია ყველა აქტივი დავალდებულება
2. სტადარტით არაა აღიარებული ისეთ მუხლები,რომელიც ნებადართული არაა

3. მოხდენილია ფინანსური ანგარიშგების რეკლასიფიკაცია რომელიც ცვლის აქტივის ტიპს,ასეთი არ გამოვლენილა.
4. შეფასებულია ყველა აქტივი და ვალდებულება
5. წლის დასაწყისისა და წლის ბოლოს ნაშთები შესაბამისობაშია სტანდარტთა

*ფირმის სააღრიცხვო პოლიტიკა*

| *ფიქსირებული აქტივების ჯგუფი* | *სასარგებლო გამოყენების პერიოდი* |
|---|---|
| შენობები | 25 წელი |
| მანქანა დანადგარები | 8 წელი |
| ოფისის აღჭურვილობა | 5 წელი |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 წელი |

ძირითადი საშუალებების აღიარების შესწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივი ჩამოიწერება, ან არ არის მოსალოდნელი მისი ჩამოწერით ან გამოყენებით მომავალი სარგებლის მიღება. აქტივის აღიარების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი შემოსავალი ან დანაკარგი (გაიანგარიშება აქტივების წმინდა მიმდინარე ღირებულებასა და ჩამოწერის წმინდა შედეგს შორის სხვაობით) შეიტანება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი. ხარჯები აღიარდება მათი გაწევის მომენტში.
ეფექტური საპროცეტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებს (ის მოიცავს ნებისმიერი სახის საფასურს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელია ნაწილია, ტრანზაქციულ დანახარჯებს და სხვა ფასდაკლებებს), რომლებიც გაწერილია ფინანსური აქტივის სრულ სასიცოცხლო ციკლზე, ან ხანმოკლე პერიოდზე.
მას შემდეგ, რაც გაუფასურების შედეგად ჩამოიწერება (ან ნაწილობრივ ჩამოიწერება) ფინანსური აქტივი ან აქტივთა ჯგუფი, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება საპროცენტო განაკვეთით, რომელითაც თავდაპირველად დაადისკონტირეს აქტივიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება არის ვალდებულება, რომელიც ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების პირობებში წარმოიქმნება უკვე მიწოდებული საქონლით ან/და გაწეული მომსახურებით, რომლის საფასურიც ჯერ არ არის გადახდილი. ეს დავალიანებები კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად, თუ მათი დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია. იმ შემთხვევაში, როცა დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს, ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. არსებული მდგომარეობით, მოსალოდნელია რომ კომპანია თავის სავაჭრო ვალდებულებებს დაფარავს ერთი წლის განმავლობაში და ისინი კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებებად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

**სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება სხვაობით სავარაუდო გასაყიდ ფასსა და დასრულების და გაყიდვის ხარჯებს შორის. მარაგების ჩამოწერა ხორციედება საშუალო შეწონილის საფუძველზე.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯები აღიარდება საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ შესაძლებელია მომავალში აქტივისგან მისაღები სარგებლის შემცირების ან ვალდებულების ზრდის საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯები გამოითვლება აღიარებული შემოსავლის პროპორციულად.

ხარჯი საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ის მომავალში არ წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს, ან იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების პირობებს.

**მოგების გადასახადი**

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში მოგების გადასახადი გამოითვლება ფინანსური ანგარიშგების ბუღალტრული , მოქმედი ან ანგარიშგების თარიღისათვის. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი წარმოშობილია ისეთი ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალი მუხლში. ასეთ დროს მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ან კაპიტალის ანგარიშგებაში.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება/მოთხოვნა არის ის თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ კომპანიიდან გავა/შემოვა მიმდინარე და წინა პერიოდის განმავლობაში. დასაბეგრი მოგება/ზარალის ოდენობა დაფუძნებულია შეფასებაზე, თუ

ფინანსური ანგარიშგება ადასტურებს დაზეგვრის რელევანტურობას. გადასახადები (შემოსავალზე დაფუძნებული გადასახადების გარდა) აღიარდება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში

### წინასწარგადახდები

წინასწარგადახდები ხორციელდება გადაფასებით დაკორექტირებული ღირებულებით. წინასწარგადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც წინასწარგადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება რეალიზებული იქნება წინასწარგადახდის მომენტიდან არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში, ან აღნიშნული საქონელი ან მომსახურება თავდაპირველი აღიარებისას დაკლასიფიცირდა, როგორც გრძელვადიანი. აქტივის დაუფლებისათვის წინასწარ გადახდილი თანხები შევა აქტივის მიმდინარე ღირებულებაში იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აღნიშნულ აქტივზე და გარანტირებული იქნება მომავალში მისგან სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარგადახდები ჩამოიწერება როდესაც მიიღება მასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არსებობს ინდიკატორები იმისა, რომ ვერ მოხერხდება იმ აქტივის, საქონლის ან მომსახურების მიღება რომელიც წინასწარგადახდასთანაა დაკავშირებული, წინასწარგადახდილი თანხის მიმდინარე ღირებულება ჩამოიწერება და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება მოკორესპონდენტო გაუფასურების ზარალი.

### დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად და აკლდება კაპიტალის წმინდა მოგებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი დეკლარირება და აღიარება. ინფორმაცია გამოცხადებულ დივიდენდებზე, რომელთა დეკლარირება ხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგებების , წარმოდგენილია პერიოდის შემდგომი მოვლენების ამსახველ შენიშვნაში.

### სესხები

სესხის ხარჯი, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენის, კონსტრუქციის ან წარმოების ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებელ მდგომარეობაში მოსაყვანად, კაპიტალიზდება როგორც კონკრეტული აქტივის ხარჯის ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯი უნდა გაიხარჯოს იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა. სესხის ხარჯები ასევე მოიცავს საპროცენტო და სხვა ხარჯებს რომლებიც წარმოიშობა კომპანიის მიერ სახსრების მოზიდვის პროცესში.

### თანამშრომელთა ხარჯები და სხვა სარგებლები

ხელფასების, ბონუსებისა და სხვა არაფულადი სარგებლების დარიცხვა ხდება იმ წელს, როდესაც მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ ამ და სხვა დაკავშირებული მომსახურებების მიღება.დაქირავებულები ასახულია დაქირავებულთა რეესტრში და

MARI

მათი ანაზღაურება დგინდება დანქირავებელსა და დაქირავებულს შორის შეთანხმებით, შვებულების,შრომის უუნარობის,ზეგანაკვეთური სამუშაოს და სხვა დამატებითი პირობებზე გათვალისწინებულია შრომის ახალო მომქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ანგარიში საკუთარი კაპიტალის მოძრაობის

შესახებ 2025 წ

საწარმოს სახელწოდება - შპს ევროპა პლუს თბილისი“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - შპს

იურიდიული მისამართი თბილისი ბელიაშვილის ქ.

დარგი (საქმიანობის სახე) - რადიომაუწყებლობა

ზომის ერთეული (ლარი) - ლარი

2025 წლიური

| მაჩვენებლები | კოდი (სტრიქონი) | ნაშთი წლის დასაწყისში | შემოსულია წლის განმავლობაში | გახარჯულია წლის განმავლობაში | ნაშთი წლის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| საწესდებო კაპიტალი | 010 | 3715 | | | 3715 |
| სარეზერვო კაპიტალი | 020 | | | | |
| სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება | 030 | | | | |
| გაუნაწილებელი მოგება | 040 | 70485 | | 9496 | 60989 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| დაუფარავი ზარალი | 050 | | | | |
| სულ საკუთარი კაპიტალი 2025წ (სტრ.010+020+030+040-050) | 060 | 62958 | | 9496 | 62958 |

კომანიის საწესდებო კაპიტალი ფორმირებულია წესდებითა და შემდგომი რეინვესტირებით, მასში ცვლილების განხორციელება დაფუძნებელთა გადაწყვეტილებით ხორციელდება. კაპიტალი მოიცავს, როგორც დამფუძნებელთა შენატანებს ისე საქმიანობით კაპიტალში მიმართულ რეალურ ღირებულებას

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი: